უფლებადამცველი და აქტივისტი ქალების გამოწვევები საქართველოში

თბილისი, საქართველო

2025

უფლებადამცველი და აქტივისტი ქალების გამოწვევები საქართველოში

თბილისი, საქართველო

2025

ავტორები:

ნათია გამხიტაშვილი (ორგანიზაცია „დაქალი“)

თამარ ჭუმბურიძე (ორგანიზაცია „ქალები ცვლილებებისთვის“)

გვანცა მიქაუტაძე (ორგანიზაცია „ქალები ცვლილებებისთვის“)

თათია გეთია (ორგანიზაცია „ქალები ცვლილებებისთვის“)

ანგარიში დაიწერა პროექტის – „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ – ფარგლებში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის გლობალური პროგრამის „ყველა ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“ ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ან CRRC–საქართველოს ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

მოკლე შეჯამება 4

შესავალი 5

კონტექსტის ანალიზი 6

მეთოდოლოგია 8

კვლევის მიგნებების აღწერა, ანალიზი და განხილვა 10

ვერბალური შევიწროება და ფიზიკური ძალადობა 10

ვერბალური შეურაცხყოფა და სტიგმატიზაცია 10

მუქარა და ზეწოლა 11

ფიზიკური თავდასხმები 12

ვერბალური შევიწროებისა და ფიზიკური ძალადობის ზეგავლენა რესპონდენტთა პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე 14

სოციო–ეკონომიკური მდგომარეობა 14

ფიზიკური და ფსიქო–ემოციური ჯანმრთელობა 15

დასკვნა 17

რეკომენდაციები 19

ბიბლიოგრაფია 20

მოკლე შეჯამება

ქალი უფლებადამცველები და აქტივისტები 2023 წლის თებერვლიდან დაწყებულ უწყვეტ პროტესტშიც აქტიურად მონაწილეობენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მათი პროტესტში ჩართულობა დაკავშირებულია ბევრ ხილულ და უხილავ პრობლემასთან, რომელთაც ისინი აწყდებიან როგორც პროფესიულ, ისე პირად ცხოვრებაში.

კვლევის მიზანი იყო იმ ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებსაც ქალი უფლებადამცველები და აქტივისტები აწყდებიან პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“[1] კანონპროექტის პირველი ინიცირებიდან (2023 წლის თებერვალი) დღემდე.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდოლოგიით, სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით, რამაც შესაძლებელი გახადა აქტივისტებისა და უფლებადამცველების პირადი გამოცდილების სიღმისეული შესწავლა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტები განიცდიან ზეწოლის, მუქარის, სტიგმატიზაციისა და პროფესიული დისკრედიტაციის სხვადასხვა ფორმას. კვლევა ცხადყოფს, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად იყენებს როგორც სამართლებრივ, ისე პროპაგანდისტულ მექანიზმებს კრიტიკული ხმების შესასუსტებლად და მათი სანდოობის შესარყევად. მათ მიმართ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე სამართლებრივი რეაგირება უმეტესწილად არ ხდება, რაც აძლიერებს დაუსჯელობის განცდას და ამძაფრებს დაუცველობის შეგრძნებას.

კვლევა აღწერს დისკრიმინაციის, ფიზიკური და ვერბალური თავდასხმების, ზეწოლისა და მუქარის მრავალმხრივ გამოცდილებას, რაც უარყოფითად აისახება მონაწილეთა ფსიქო–ემოციურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სოციალურ ცხოვრებაზე. ზოგიერთმა მათგანმა დაკარგა სამსახური ან შემოსავალი, ზოგს კი ოჯახურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში კონფლიქტები შეექმნა. აქტივისტებისთვის განსაკუთრებით აქტუალურია უსაფრთხოების დეფიციტი, ონლაინ ბულინგი და სიძულვილის ენა, რაც იწვევს სოციალურ–ეკონომიკურ დეგრადაციას — სამსახურის დაკარგვას, დაფინანსების შეწყვეტას და იზოლაციას.

მიუხედავად მძიმე გამოცდილებისა, რომელიც განსაკუთრებით გამძაფრდა ე.წ. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ პროტესტის დროს, კვლევაში მონაწილე უფლებადამცველთა და აქტივისტთა დიდი ნაწილი არ აპირებს საქმიანობის შეწყვეტას. ზოგიერთი მათგანი ემოციური გამოფიტვის გამო დროებით დისტანცირდა პროცესებისგან.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ შემუშავდეს ქალი უფლებადამცველებისა და აქტივისტების მხარდამჭერი ეფექტიანი მექანიზმები მათი უსაფრთხოებისა და საქმიანობის გაგრძელების მიზნით.

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში საგანგაშოდ გაიზარდა უფლებადამცველებისა და აქტივისტების მიმართ პოლიტიკური ზეწოლის შემთხვევები. [2] განსაკუთრებით 2023 წლის თებერვლიდან, „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“[3] კანონპროექტის ინიცირების შემდეგ, შეინიშნება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ შეუქცევადი რეპრესიები და დისკრედიტაციის მიზანმიმართული კამპანიები ხელისუფლების მხრიდან. [4] შესაბამისად, გაიზარდა საფრთხეები უფლებადაცვით საქმიანობასა თუ აქტივიზმთან მიმართებით, რაც უარყოფითად აისახა როგორც სამოქალაქო აქტივიზმისა და ადამიანის უფლებების დაცვის ზოგად გარემოზე, ისე ევროინტეგრაციის პროცესზე.[5]

ამ პროცესებში ქალები, როგორც უფლებადამცველები და აქტივისტები, ზოგადად განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, თუმცა, მათი საქმიანობა ხშირად ხდება სტიგმის, მუქარის, ბულინგისა და ფსიქო–ემოციური ზეწოლის ობიექტი. საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები მიუთითებენ, რომ ქალების უფლებადაცვით საქმიანობასა და აქტივიზმში ჩართულობა ხშირად უფრო სპეციფიკურ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, ვიდრე კაცების. მათ შორისაა სექსუალური ხასიათის და გენდერულად მოტივირებული მუქარები, რეპუტაციული დისკრედიტაცია და სოციალური იზოლაცია.[6]

ამ ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის მიზანია, შეისწავლოს ქალი უფლებადამცველებისა და აქტივისტების პროფესიული და პირადი გამოწვევები მათი საქმიანობისა და აქტივიზმის პროცესში. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა ქალი უფლებადამცველებისა და აქტივისტების უარყოფითი გამოცდილებები მათი საქმიანობიდან და აქტივიზმიდან გამომდინარე. კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზდა ამ გამოცდილებების ზეგავლენა მათ პირად და პროფესიულ ცხოვრებაზე.

კვლევის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აჩვენებს არა მხოლოდ იმ ხილულ რისკებს, რომლებიც თან ახლავს უფლებადაცვით საქმიანობასა და აქტივიზმს საქართველოში, არამედ, ამ საქმიანობაში ჩართული ადამიანების პროფესიულ და პირად მდგომარეობას, სუბიექტურ აღქმებსა და ემოციებს. მიგნებების ანალიზისა და დასკვნის შემდგომ კვლევას თან ახლავს ავტორთა რეკომენდაციები, რომლებიც სხვადასხვა აქტორისთვის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

ანგარიშში ასახული ინფორმაცია მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოში ავტორიტარიზმთან ბრძოლაში ჩართული ნებისმიერი აქტორისთვის, ამ აქტორების ადგილობრივი თუ საერთაშორისო მხარდამჭერებისთვის დაზოგადად, უფლებადამცველებისა და აქტივისტების მდგომარეობით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

კონტექსტის ანალიზი

2023 წლის თებერვლიდან, „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ [7] კანონპროექტის ინიცირებით, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციის პროცესი გაღრმავდა, რაც განსაკუთრებით შეეხო მედია და არასამთავრობო ორგანიზაციებს. კანონპროექტის უკან გაწვევის მიუხედავად, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების,[8] ე.წ. „ქართული ფარას“[9] აღსრულებით და სხვა რეპრესიული მექანიზმებით,[10] ხელისუფლებამ დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციების შემოწმება, [11] დაყადაღდა მათი ანგარიშები, [12] დაიკითხნენ არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. [13] ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ადმინისტრაციული წესით დააკავეს ათეულობით ჟურნალისტი.[14]

ხელისუფლების ანტიდემოკრატიულ და ანტიდასავლურ ნაბიჯებს ადამიანები ასობით დღეა, რაც უწყვეტად აპროტესტებენ ქუჩაში. პოლიტპატიმრების რიცხვმა 120-ს გადააჭარბა. [15] ჟურნალისტ მზია ამაღლობელს, ბათუმის პოლიციის მაშინდელი უფროსის, ირკალი დგებუაძისთვის სილის გაწვნის გამო ორი წლით პატიმრობა მიესაჯა.[16]

ბევრი უფლებადამცველი და აქტივისტი იძულებული გახდა, ჩამოსცილებოდა პოლიტიკურ პროცესებს ან დაეტოვებინა ქვეყანა. დროში გაწელილი და გაუარესებული სიტუაციის ფონზე, გაზრდილია შიდა უნდობლობა, დაპირისპირება და პოლარიზაცია უფლებადამცველებს/აქტივისტებს შორისაც.

მძიმე პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა უფლებადამცველების, მათ შორის ქალების, პროფესიული და პირადი უსაფრთხოების რისკები. [17] მიუხედავად იმისა, რომ როგორც ქალებისათვის, ისე კაცებისათვის, უფლებადაცვითი საქმიანობა/აქტივიზმი ბევრ გამოწვევასთან არის დაკავშირებული, ამ გამოწვევების მიზეზები და ფორმები, როგორც წესი, გენდერულად არის პროვოცირებული. ქალი უფლებადამცველებისა და აქტივისტების მიმართ შექმნილი არასასურველი გარემო, განხორციელებული მუქარები, რეპუტაციის შემლახავი კამპანიები და უფრო მძიმე ფორმის რეპრესიები, ძირითადად, სექსისტური ხასიათისაა.[18] არსებული ფორმალური და არაფორმალური სტრუქტურები, რომლებიც აქტივისტ ქალებს ემსახურებიან ან მათთან თანამშრომლობენ, ხშირად პატრიარქალურია, რაც ართულებს ქალების უფლებადაცვით საქმიანობას/აქტივიზმს.[19]

უფლებადამცველების საჭიროებების ჯერ კიდევ 2021 წლის კვლევის ფარგლებში, კვლევის მონაწილეები საუბრობდნენ ჩაგვრაზე/ბულინგზე, მადისკრედიტირებელ კამპანიებზე, პოლიციის გულგრილობაზე მათ მიმართ განხორციელებული კრიმინალური ქცევის დროს და მათ ოჯახის წევრებზე

განხორციელებულ ზეწოლაზე. [20] მშვიდობიანი შეკრებების დროს, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლების მხრიდან, განსაკუთრებით ქალების მიმართ ხშირად ისმოდა გაუპატიურების და ფიზიკური ანგარიშისწორების მუქარა და მოწოდებები, რომ მათი ადგილი „კუხნაშია“.[21]

სოციალურ მედიასა და საზოგადოებრივ სივრცეებში განხორციელებულ სიძულვილის ენასა და მუქარებსაც, ხშირად, სექსისტური შინაარსი აქვს და ხაზს უსვამს ქალი უფლებადამცველების/ აქტივისტების "ქალობას", დედობას, გარეგნობას, და ა.შ.[22]

ამ გარემოს გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქალი უფლებადამცველებისა და აქტივისტების პროფესიული, პერსონალური და სოციალური გამოცდილებების შესწავლა, რათა გამოვლინდეს ის ბარიერები და გამოწვევები, რომლებიც განსაკუთრებით ქალებისთვისაა მნიშვნელოვანი. ეს უზრუნველყოფს ქალების მიზნობრივ მხარდაჭერას მათი უსაფრთხოების და საქმიანობის გასაძლიერებლად.

საკვლევ პერიოდსა და კონტექსტში გამოვლენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უხეში დარღვევები ვრცლად არის დოკუმენტირებული როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, [23] ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. [24] ამ ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის მიზანი არ არის მსგავსი სისტემური დარღვევების იდენტიფიცირება ან შეფასება. აღნიშნული კვლევა ფოკუსირებულია ქალი უფლებადამცველებისა და აქტივისტების მიერ მათ საქმიანობასთან/აქტივიზმთან დაკავშირებულ პირადად განცდილ გამოწვევებსა და სუბიექტურ აღქმებზე, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებს მათ პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე.

მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მიდგომას, რომელმაც მკველავრებს საშუალება მისცა დეტალურად აღებეჭდათ და გაეანალიზებინათ რესპონდენტთა სუბიექტური გამოცდილებები, განცდები და ინტერპრეტაციები არსებული პოლიტიკური და სოციალური რეალობის პირობებში. თვისებრივი მეთოდის შერჩევა განპირობებული იყო კვლევის თემის სენსიტიურობითა და დასახული მიზნით, რათა შესწავლილი ყოფილიყო ქალ უფლებადამცველებსა და აქტივისტებზე ზეწოლის მრავალგან–ზომილებიანი ფორმები პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე.

მონაცემთა შეგროვების მეთოდად შეირჩა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევის ფარგლებში, 2025 წლის აგვისტოში, ჩატარდა 14 სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა 60–90 წუთი იყო. ინტერვიუები ჩატარდა 6 ქალ უფლებადამცველთან და 8 ქალ აქტივისტთან. შერჩევისას გათვალისწინებული იყო:

- გეოგრაფიული მრავალფეროვნება: მონაწილეები იყვნენ თბილისიდან, ბათუმიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისიდან და გორიდან.
- პროფესიული მრავალფეროვნება: მათ შორის იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების მმართველობითი რგოლის წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე მომუშავე უფლებადამცველები, საჯარო სექტორის წარმომადგენელი და ერთი ჟურნალისტი.
- ასაკობრივი მრავალფეროვნება.

რესპონდენტები 2023 წლის თებერვლიდან დღემდე აქტიურად არიან ჩართულნი უფლებადაცვით საქმიანობასა და აქტივიზმში.

მონაწილეთა შერჩევის დროს გამოყენებულ იქნება მიზნობრივი შერჩევა. რესპონდენტთა ნაწილი შეირჩა თოვლის გუნდის (Snowball Sampling) მეთოდით. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულია თემატური კოდირების მიდგომა. შედეგად, გამოიკვეთა ძირითადი თემები, რომლებიც რესპონდენტთა გამოცდილებას აერთიანებს:

- საქმიანობისა და აქტივიზმის მოტივაცია;
- ზეწოლისა და სტიგმის ფორმები;
- ფსიქო–ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ეკონომიკური სირთულეები და პროფესიული რისკები;
- სოლიდარობისა და მხარდაჭერის ქსელების როლი;
- მომავლის ხედვა და ქალთა მონაწილეობის ფორმები.

კვლევა განხორციელდა ეთიკური პრინციპების სრული დაცვით, ამისთვის გამოყენებული იქნა:

- ინფორმირებული თანხმობა: რესპონდენტებმა მიიღეს სრული ინფორმაცია კვლევის მიზნების, პროცედურების , რისკების შესახებ.
- კონფიდენციალურობა და ანონიმურობა: ყველა იდენტიფიცირებადი დეტალი წაშლილი ან შეცვლილია. მონაცემები ინახება დაშიფრულ ფორმატში.
- პრინციპი „არ ავნო“ (Do No Harm): კვლევის მიზანი იყო მონაწილეთა კეთილდღეობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება მთელი პროცესის განმავლობაში.

კვლევას აქვს რამდენიმე შეზღუდვა, რომლებიც შედეგების ინტერპრეტაციისას უნდა იქნას გათვალისწინებული:

- მონაცემების განზოგადება: თვისებრივი კვლევა არ იძლევა განზოგადების შესაძლებლობას მთელ პოპულაციაზე. კვლევა ასახავს კონკრეტულ ინდივიდუალურ გამოცდილებებს და მიზნად არ ისახავს რაოდენობრივ სიზუსტეს.
- გეოგრაფიული კონცენტრაცია: რესპონდენტთა უმრავლესობა ცხოვრობს თბილისსა და რამდენიმე რეგიონში (ბათუმი, ზუგდიდი, გორი, ქუთაისი), რაც ვერ მოიცავს ქვეყნის ყველა რეგიონის სპეციფიკურ გამოწვევას.
- დროითი ჩარჩო: კვლევა მოიცავს პერიოდს 2023 წლის თებერვლიდან 2025 წლის აგვისტომდე. ინტერვიუების დასრულების შემდეგ ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, შესაძლოა, დამატებით იმოქმედა რესპონდენტთა მდგომარეობასა და განწყობებზე, რაც ამ ანგარიშში არ აისახა.

მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვებისა, კვლევის შედეგები იძლევა ღრმა, ნიუანსურ და კონტექსტუალურ სურათს ქალთა მდგომარეობის შესახებ და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას არსებული ტენდენციების დასაფიქსირებლად.

კვლევის მიგნებების აღწერა, ანალიზი და განხილვა

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ქალი უფლებადამცველებისა და აქტივისტების მიმართ ვერბალური შევიწროებისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტები. კერძოდ, ვერბალური შეურაცხყოფები და სტიგმატიზაცია, მუქარა და ზეწოლა, ფიზიკური თავდასხმები. აგრეთვე, აღნიშნული გამოცდილებების გავლენა მათ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სოციო–ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ვერბალური შევიწროება და ფიზიკური ძალადობა

კვლევის ფარგლებში რეპრესიული გამოცდილებებიდან გამოვლინდა ვერბალური შეურაცხყოფის, სტიგმატიზაციის, მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური თავდასხმის შემთხვევები.

ვერბალური შეურაცხყოფა და სტიგმატიზაცია

უფლებადამცველების და აქტივისტების მიმართ ვერბალური შეურაცხყოფის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ მმართველი პარტიის წევრების მხრიდან, არამედ, რიგითი მოქალაქეების მხრიდანაც, როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ სივრცეში.

რამდენიმე უფლებადამცველმა აღნიშნა, რომ ონლაინ სივრცეში, კვლავ არის ხოლმე გენდერული კონოტაციის კომენტარები მათ გარეგნობასა და სხეულის ნაწილებზე, განსაკუთრებით ქვიარებთან მიმართებით. თუმცა, „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“[25] კანონპროექტსა და „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტზე“[26] აგებული პროპაგანდისტული კამპანიების შედეგად, გენდერული თუ ნებისმიერი სხვა ნიშანი მეტწილად ჩაანაცვლა „აგენტობის“ გარშემო არსებულმა ნარატივებმა.

> *„ძალიან შესამჩნევი გახდა, რომ გარდა იმისა, რომ [ადრე] ერიდებოდნენ ჟურნალისტებზე თავდასხმას – ვინც არ უნდა ყოფილიყო, ოპერატორი თუ ჟურნალისტი, ქალი [თუ] კაცი, არ ვიცი – ახლა აღარ აქვს მაგას მნიშვნელობა და რაღაცნაირად ვინც არ უნდა იყო, თავისუფლად შეიძლება გახდე თავდასხმის მსხვერპლი, მათ შორის პოლიციის მხრიდან. აღარ გიცავს ეს ჟურნალისტის ბეჯი, გენდერი და ა.შ. “* (რესპონდენტი 09 , ჟურნალისტი თბილისიდან)

აგენტის სტიგმა უფლებადამცველების წინააღმდეგ საზოგადოებაშიც აქტიურად დამკვიდრდა. რესპონდენტები იხსენებენ რამდენიმე შემთხვევას, როდესაც ქუჩაში ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა მიაყენეს მსგავსი შინაარსის ვერბალური შეურაცხყოფა:

„აი, ძალიან უსიამოვნოა, როცა ადამიანს სძულხარ, თან სძულხარ რაღაცა ცრუ წარმოდგენების გამო, მით უმეტეს, მაშინ საერთოდ უმუშევარი ვიყავი და რა ფულები... ამ დროს ვიღაცა მოქალაქეებს არწმუნებენ, რომ მილიონერი ხარ და მილიონები გერიცხება უცხოეთიდან“ (რესპონდენტი 10, უფლებადამცველი თბილისიდან).

სხვა რესპონდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მას სასამართლოში წარმომადგენლობის დროს პროცესზე მეორე მხარის ადვოკატმა „აგენტი“ უწოდა.

საჯარო სექტორში დასაქმებული რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მის მიმართ ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის არასათანადო მოპყრობას. თუმცა, ელოდება, რომ რეორგანიზაცია მასაც მალე შეეხება ევროინტეგრაციის სასარგებლოდ საჯაროდ დაფიქსირებული პოზიციის გამო.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია აქტივისტი ქალების გამოცდილებაში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. რესპონდენტი აქტივისტების თანახმად, საზოგადოება მათ მიმართ ხშირად ავლენს შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე ონლაინ სივრცეში. ვერბალური თავდასხმები და სიძულვილის ენა, ძირითადად, შეიცავს სექსისტურ ელემენტებს, რაც თავისთავად იწვევს ფსიქოლოგიურ ზეწოლას: *„სოციალურ ქსელებში ჩემს სურათს ატარებენ და წერენ – ბიჭი ხარ თუ გოგო? ამას უკვე ირონიით ვუყურებ, მაგრამ როცა პირველად მოხდა, მტკივნეული იყო“* (რესპონდენტი 3, აქტივისტი რეგიონიდან).

სოციუმის ფართო ნაწილში ქალი აქტივისტები კვლავ ხვდებიან სტიგმატიზაციისა და გაუცხოების ადრესატები. ზოგიერთ რეგიონში მათ „პოლიტიკურად მოტივირებულებად“ ან „რადიკალებად“ აღიქვამენ, რაც ხელს უშლის მათ სოციალურ ინტეგრაციას და აძლიერებს განცდას, რომ ისინი „სხვანაირი“ მოქალაქეები არიან.

მუქარა და ზეწოლა

კვლევამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პირდაპირი და ირიბი მუქარისა და ზეწოლის შემთხვევები ციფრულ სივრცეებსა და რეალურ ცხოვრებაში.

უფლებადამცველი რესპონდენტების თანახმად, მუქარისა და ზეწოლის მცდელობა მათ მიმართ, ძირითადად, მტრულ საკანონმდებლო ცვლილებებში, მათ აღსრულებასა და პროპაგანდისტულ კამპანიებში იჩენს თავს. თუმცა, რესპონდენტები საუბრობენ უფრო სპეციფიკურ გამოცდილებებზეც, კერძოდ კი მმართველი პარტიის წევრების მხრიდან საჯარო მუქარაზე, ოჯახის წევრის საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებაზე რესპონდენტის საქმიანობის გამო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის მიერ, რესპონდენტის მშობლის მიმართ შვილისთვის ნარკოტიკების

ჩადების მუქარასა და რესპონდენტის საჯარო სამსახურში დასაქმებული მშობლისათვის მტრული გარემოს შექმნაზე:

> *„ასე წარმოაჩინეს, რომ მე როგორ ვკადრულობ, რომ [საჯარო დაწესებულების] წარმომადგენლებს თავს ვესხმი, ვუწოდებ ქოცებს და რაღაც ეგეთებს. ერთგვარი მუქარის მესიჯებიც იყო [რესპონდენტის მშობელი] მიმართ, რომ მე დავანებო თავი ეგეთ რაღაცებს, ზოგადად, ჩემს საქმიანობასაც"* (რესპონდენტი 11, უფლებადამცველი რეგიონიდან).

განსხვავებულ შემთხვევებზე მიუთითებს ჟურნალისტი რესპონდენტი. კერძოდ, მან სანდო წყაროდან მიიღო ინფორმაცია, რომ აპირებდნენ მის დაკავებას, რის შემდეგაც ერთ–ერთ სისხლის სამართლის საქმეზე დაიბარეს გამოკითხვაზე. ჟურნალისტი რამდენჯერმე დაჯარიმდა აქციების გაშუქების დროსაც.

ზოგიერთ შემთხვევაში ზეწოლა ირიბად აისახა პროფესიულ საქმიანობაზეც – დაკარგული სამუშაო, შეჩერებული პროექტები ან ორგანიზაციების დისკრედიტაცია ხელისუფლების მხრიდან.

ფიზიკური თავდასხმები

ჟურნალისტი რესპონდენტის და ერთი აქტივისტის გარდა, ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ პერსონალურად მათ მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, რამდენიმე უფლებადამცველი საუბრობს მათ ოფისსა და საკუთარი თუ ოჯახის წევრების უძრავი და მოძრავი ქონების დაზიანებაზე. თავდასხმები გამოიხატებოდა პროპაგანდისტული, მტრული, ზიზღის გამაღვივებელი წარწერებისა და პლაკატების/ფოტოების დატოვებაში.

ერთ–ერთმა რესპონდენტმა მიმართა პოლიციას, თუმცა, გამოიძიებას შედეგი არ მოჰყოლია. ამავე უფლებადამცველის თანახმად, მმართველი პარტიის ერთ–ერთმა პროპაგანდისტმა გაავრცელა თავდასხმის პირდაპირი მტკიცებულება, რაზეც საგამოძიებო ორგანოს არ ჰქონია რეაგირება.

ოფისსა და კერძო საკუთრებაზე თავდასხმის გამოცდილების მქონე სხვა რესპონდენტები განმარტავენ, რომ მსგავს საქმეებზე პოლიციის უმოქმედობის გამო მათ აღარ მიმართეს საგამოძიებო ორგანოს. ერთ–ერთი რესპონდენტის ორგანიზაციამ გამოიცვალა ოფისი და გადავიდა უფრო უსაფრთხო სივრცეში. უფლებადამცველი, რომელსაც საკუთრება დაუზიანეს, დარწმუნებულია, რომ მისი მისამართი და დეტალები თავდამსხმელებისთვის პოლიციის მიერ მიწოდებული იყო.

> *„ვიცოდი, რომ ისინი იდგნენ ამ ყველაფრის უკან და რაღაცა დამამცირებელი იყო ჩემთვის, რომ დამერეკა და ისევ იმათთვის მეთხოვა დახმარება, ვინც ამ ყველაფრის უკან იდგა. კიდევ ისიც, რომ არ მინდოდა, გამოვჩენილიყავი მსხვერპლი"* (რესპონდენტი 12, უფლებადამცველი თბილისიდან).

კვლევის ფარგლებში, ჟურნალისტმა რესპონდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც სამსახურეობრივი საქმიანობის შესრულებისას, ერთ–ერთი დარბევის დროს, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ჟურნალისტებს ტელეფონები და კამერა დაუზიანეს. რესპონდენტის თანახმად, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ყველა ფაქტზე მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, თუმცა, პასუხისგებაში არავინ მიცემულა. მისი თქმით, ჟურნალისტებს დღესსამსახურეობრივი საქმიანობის შესრულებისას საფრთხე ემუქრებათ:

> *„კი ჩანს, რომ მე მაინცდამაინც ასე პირდაპირი თარგეთი არ ვარ. მაგრამ, ზოგადად რასაც ვუყურებ, ეგეთი საფრთხის შემცველი არასდროს ყოფილა ჟურნალისტობა აქ, როგორც დღეს არის. არასდროს არ იცი, რა შეიძლება დაგემართოს "* (რესპონდენტი 9, ჟურნალისტი თბილისიდან).

აქტივისტი ქალების შემთხვევაში პირდაპირი ფიზიკური ძალადობის შემთხვევები იშვიათად ფიქსირდება. თუმცა, ქალები ხშირად ელიან საფრთხეს და აწყდებიან აგრესიას როგორც აქტივიზმის აქტიური ქმედების დროს, აქციების მიმდინარეობისას, ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა პოლიციის გულგრილობა ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას, რაც არღვევს ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები ქალები ხაზს უსვამენ პოლიციის გულგრილობაზე: *„[ქალაქი რეგიონში] აქციის დროს პოლიცია უყურებდა, როგორ გვქაჩავდნენ თმებს. მათთვის ეს ჩვეულებრივი იყო "*(რესპონდენტი 3, აქტივისტი რეგიონიდან).

რეგიონში მცხოვრები ქალები აღნიშნავენ, რომ მცირე თემებში უსაფრთხოების პრობლემა მეტად მწვავედ დგას, რადგან დაბალია ნდობა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიმართ. აღნიშნული გარემოების გამო, ქალები ნაკლებად მიმართავენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს დახმარებისთვის. მათ შეიმუშავეს თავდაცვის სტრატეგიები, მაგალითად, ცდილობენ ჯგუფურად გადაადგილებას, გარკვეული შემთხვევების კამერით გადაღებას ან აქციებზე მხოლოდ დღის განმავლობაში ყოფნას.

კვლევის ფარგლებში დასახელებულმა რეპრესიულმა გამოცდილებებმა მძიმე გავლენა იქონია თითქმის ყველა რესპონდენტის როგორც სოციო–ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ისე ფიზიკურ და ფსიქო–ემოციურ ჯანმრთელობაზე. თუმცა, ისინი მაინც აგრძელებენ საქმიანობას/აქტივიზმს მტკიცე სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და პრინციპების გამო.

სოციო–ეკონომიკური მდგომარეობა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ უფლებადამცველები და აქტივისტები პროფესიული, ფინანსური და სოციალური იზოლაციის წინაშე დგანან.

კერძო სექტორში დასაქმებული უფლებადამცველი რესპონდენტები, რომელთაც ჯერ ისევ აქვთ შემოსავალი, გაზრდილი საქმეების ფონზე, ყოველ დღე, არასამუშაო საათებშიც უწევთ მუშაობენ. ამ საქმეების დიდი ნაწილი მოხალისეობრივია.

ზოგიერთმა უფლებადამცველმა აღნიშნა, რომ ე.წ. „გრანტების კანონის“ ამოქმედების შემდეგ, მათმა ორგანიზაციებმა ვეღარ შეძლეს პროექტებისათვის დაფინანსებების მიღება, მთავრობის მიერ ნებართვის პროცესის გაწელვის გამო. ერთ–ერთი რესპონდენტის ორგანიზაცია ფინანსური სახსრების გარეშე მოხალისეობრივად აგრძელებს საქმიანობას: *„რეალურად, საქართველოში ამ კანონებმა ჩემნაირი ადამიანები დატოვა პროფესიის გარეშე, სამსახურის გარეშე“* (რესპონდენტი 13, უფლებადამცველი).

ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ აქვს საბანკო ვალდებულება. მათ შორის ერთ–ერთს კი რეგულარულად სჭირდება საზღვარგარეთ მკურნალობა.

აქტივისტი რესპონდენტებიც საუბრობენ ეკონომიკურ და ფინანსურ გამოწვევებზე. ზოგიერთმა ქალმა სამუშაო დაკარგა ან შემოსავლი შეუმცირდა აქტივიზმში ჩართულობის გამო: *„პროექტი, სადაც ვმუშაობდი, ხელისუფლების ზეწოლის გამო შეწყდა. ეს პირდაპირი შედეგია იმ გარემოსი, სადაც სამოქალაქო ჩართულობა დასჯადია“*(რესპონდენტი 5, აქტივისტი თბილისიდან).

რეგიონებიდან ჩართული ქალები ხაზს უსვამენ ფინანსურ ბარიერებს – ტრანსპორტირების ხარჯები და აქციებზე დასწრებისთვის სხვა საჭირო რესურსების არარსებობა ხშირად მათ ჩართულობას ზღუდავს.

თუმცა, მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა, მათი მოტივაცია უცვლელი რჩება. რესპონდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ფინანსური სტაბილურობა მნიშვნელოვანი ფაქტორია აქტივიზმის გასაგრძელებლად, თუმცა, ღირებულებითი პრინციპი ყოველთვის ჭარბობს მატერიალურს.

რამდენიმე უფლებადამცველი რესპონდენტი პირდაპირ აღნიშნავს, რომ სოციალური ცხოვრება, ფაქტობრივად, აღარ აქვთ. ამის მიზეზად განწყობისა და დროის უქონლობას ასახელებენ.

რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, დაკარგა მეგობრები/ახლობლები:

> *„ბიძაჩემმა შეწყვიტა ჩვენთან ურთიერთობა, დედაჩემის ძმამ, რომელსაც ჰქონდა მანამდე ძალიან აქტიური ურთიერთობა. ჩემთან ნაკლებად, მაგრამ დედაჩემთან, რადგან საჯარო სამსახურში მუშაობს და ეშინია "*(რესპონდენტი 14, უფლებადამცველი თბილისიდან).

აქტივისტი ქალებიც ხშირად განიცდიან სოციალურ იზოლაციას – მეგობრების, ოჯახის წევრებისა და კოლეგებისგან განდგომას განსხვავებული პოლიტიკური პოზიციის გამო. *ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „ახლობელი ადამიანების 70% დავკარგე ჩემი პოლიტიკური პოზიციის გამო, ოჯახი მეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არ შევშინდი "*(რესპონდენტი 6, აქტივისტი რეგიონიდან).

აქტივიზმში ჩართულობამ მკვეთრად გააუარესა ქალთა სოციალური ურთიერთობები. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ მათ აქტივიზმის გამო დაკარგეს უახლოესი ადამიანები, თუმცა, ამავდროულად, შეიძინეს ახალი თანამოაზრეები: *„ძალიან ახლო მეგობრები დავკარგე, მაგრამ მათ ნაცვლად ახალი თანამებრძოლები გავიცანი. ესეც ცვლილებაა "*(რესპონდენტი 3, აქტივისტი რეგიონიდან).

სოლიდარობის ჯგუფები გარკვეულწილად იქცა აქტივისტების მხარდაჭერის მექანიზმად. აღნიშნულ სივრცეში ქალები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ასწავლიან სტრესის მართვის გზებს. ამავე დროს, სოციუმის ფართო ნაწილში კვლავ შეინიშნება სტიგმა – ქალი აქტივისტები ხშირად აღიქმებიან როგორც „პოლიტიკურად მოტივირებული" ან „რადიკალური" ფიგურები, რაც მათ სოციალურ ინტეგრაციას ართულებს.

ფიზიკური და ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობა

უფლებადამცველები საუბრობენ ჯანმრთელობის პრობლემების გართულებულ ფორმებზე, ძლიერ შფოთვაზე, ძილის რეჟიმის დარღვევაზე, ძლიერ თავის ტკივილებზე, პროდუქტიულობის გაუარესებასა და გუნება-განწყობის დაქვეითებაზე: *„მანამდეც ვნერვიულობდი, მაგრამ ნოემბრიდან ძალიან პერმანენტული გახდა ეგ. ბოლოს როდის რამეზე გავიღიმე... ვეღარ ვხალისობ ცხოვრებაში ვერაფრით რა, ხალისი დამეკარგა "*(რესპონდენტი 11, უფლებადამცველი რეგიონიდან).

ზოგიერთი უფლებადამცველი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ფიზიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით მათ ესაჭიროებათ ექიმთან მისვლა, რასაც ვერ ახერხებენ დროის არქონის გამო.

კვლევაში ჩართული არცერთი უფლებადამცველი რესპონდენტი არ მიმართავს ფსიქოთერაპიას. დასახელებულ მიზეზებს შორის იყო დროის უქონლობა, საკმარისი ფსიქო-ემოციური რესურსის არსებობა არსებულ სიტუაციასთან დამოუკიდებლად გასამკლავებლად და ფსიქოთერაპევტების მიმართ უნდობლობა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ცეკვას რამდენიმე მიზეზის გამო დაანება თავი,

მათ შორის, იმიტომ, რომ ეშინია, ცეკვის დროს ჩუმად გადაუღებენ და ჩანაწერს პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოიყენებენ.

ფსიქო–ემოციური გამძლეობა ქალი აქტივისტების ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. რესპოდენტები საუბრობენ მუდმივ შფოთვაზე, უძილობაზე, ენერგიის ნაკლებობასა და წონის ცვლილებაზე, რაც თავისთავად დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან და საზოგადოების მხრიდან არსებულ ზეწოლასთან: *„ღამე ვერ ვიძინებ, მახსენდება ქუჩის სურათები, ხმაური, პოლიციის ფორმები. თითქოს ისევ იქ ვარ“* (რესპონდენტი 5, აქტივისტი თბილისიდან).

მიუხედავად იმისა, რომ აქტივისტები განიცდიან მუდმივ სტრესს, ბევრი მათგანი საუბრობს, რომ პროტესტში მონაწილეობის შემდეგ აღნიშნული აქტივობა იქცა ემოციური გამკლავების საშუალებად – კოლექტიურობის განცდა მათთვის გამძლეობისა და შინაგანი სიმტკიცის წყაროა: *„მაშინ შიში მქონდა, ახლა კი – სიმტკიცე. პროტესტმა გამაძლიერა. ეს ჩემი შინაგანი სტაბილურობის წყარო გახდა“* (რესპონდენტი 8, აქტივისტი თბილისიდან).

ამ ეტაპზე ყველა უფლებადამცველი და აქტივისტი რესპონდენტი განაგრძობს თავის უფლებადაცვით საქმიანობას/აქტივიზმს. უმეტესობა ამას აპირებს მანამ, სანამ რაიმე ფორმით მაინც ამისი შესაძლებლობა იქნება.

აქტივისტ რესპონდენტებშიც იკვეთება, რომ ნაკლებად სარგებლობენ ფსიქოლოგის მომსახურებით, მიუხედავად არსებული რესურსებისა. აქტივისტები აღნიშნულის მიზეზად ასახელებენ დროის უკმარისობას, სტიგმას და განცდას, რომ სხვას უფრო მეტად სჭირდება ეს რესურსი.

კონკრეტული გეგმა არ აქვს არცერთ უფლებადამცველ რესპონდენტს იმ შემთხვევისათვის, თუკი აღმოჩნდებიან დაკავების რეალური რისკის წინაშე. ერთ–ერთი რესპონდენტი კი აღნიშნავს, რომ ემიგრაციაში წასვლის იდეა მისთვის იმდენად მძიმეა, არ იცის, დროებით ციხეში ურჩევნია წასვლა თუ ქვეყნიდან. როდესაც კვლევის ფარგლებში, მას დაუსვეს კითხვა მის საქმიანობასა და თავისუფლებას შორის არჩევანის გაკეთების შესახებ, მან შემდეგნაირად უპასუხა: *„ეგეთი არჩევანის წინაშე უკვე ვიდექი [პერიოდი] და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი საქმიანობა არის ჩვენი თავისუფლება და ის უნდა გავაგრძელოთ“* (რესპონდენტი 13, უფლებადამცველი).

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ აქტივისტების მოტივაციის საფუძველში დევს არა პარტიული იდენტობა, არამედ პირადი პასუხისმგებლობის განცდა. ბევრი ქალი ხაზს უსვამს, რომ მათი აქტივიზმი წარმოადგენს თვითგამოხატვის ფორმას და პასუხს იმ გარემოზე, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები სუსტდება. ისინი თავს ვალდებულად თვლიან, რომ იმოქმედონ და არ შეეგუონ არსებულ ვითარებას: *„საყოველთაო ნიჰილიზმის ფონზე, მგონია, რომ ვალდებული ვარ მაინც ვიმოქმედო. თორემ საკუთარ შვილებს ვერ ავუხსნი, რატომ გავჩუმდი“* (რესპონდენტი 8, აქტივისტი თბილისიდან).

დასკვნა

კვლევამ ცხადჰყო, რომ ქალი აქტივისტებისა და უფლებადამცველების მიმართ ადგილი აქვს როგორც ფსიქოლოგიურ ძალადობას, ასევე, ფიზიკურ შეურაცხყოფებსა და ოფისებზე თავდასხმებს. აღნიშნული ფაქტები გავლენას ახდენს როგორც მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, ისე სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ საგრძნობლად გაიზარდა მასტიგმატიზებელი და საფრთხის შემცველი ფაქტების რიცხვი არასამთავრობო სექტორში დასაქმებული ყველა **უფლებადამცველი** რესპონდენტის მიმართ. მათი თქმით, ონლაინ სივრცეში რიგითი მოქალაქეებისა თუ ტროლ–ბოტების მხრიდან გაიზარდა სექსისტური შინაარსის კომენტარები უფლებადამცველთა გარეგნობაზე, სხეულის ნაწილებზე, განსაკუთრებით არაჰეტერონორმატიული გარეგნობის/ქცევის უფლებადამცველებთან მიმართებით. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს გამოცდილებები აღარ განისაზღვრება მხოლოდ გენდერული ნიშნით. კერძოდ, როგორც კვლევამ აჩვენა, უფლებადამცველების დისკრედიტაციისა და დევნის მთავარ იარაღად იქცა ე.წ. „აგენტების კანონი“ და მასთან დაკავშირებული პროპაგანდისტული კამპანიები. აღნიშნულმა საზოგადოებაშიც აქტიურად დაამკვიდრა აგენტობის სტიგმა და მეტწილად ჩაანაცვლა დისკრედიტაციის გენდერული ფორმები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება, ზოგადად, თავს იკავებს ქალი უფლებადამცველების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისგან. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, რომლებიც უკავშირდება მათ ან მათი ოჯახის წევრების საკუთრებისა და ოფისების დაზიანებას, მუქარასა და საჯარო სექტორში დასაქმებულ ოჯახის წევრებზე ზეწოლას. არსებულ ვითარებას ემატება საზოგადოებაში მიზანმიმართულად გაღვივებული აგრესია და პოლიციისადმი უნდობლობა. აღნიშნული გარემოებები ქმნის მუდმივი საფრთხისა და დაუცველობის განცდას.

განსაკუთრებით მაღალი რისკების წინაშე დგანან ჟურნალისტები, რომლებსაც უწევთ სხვადასხვა მოვლენის გაშუქება და სხვადასხვა ჯგუფებთან თუ სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობა. მიუხედავად არსებული საფრთხეებისა, რიგი უფლებადამცველი რესპონდენტები კვლავაც არ უთმობენ საკმარის ყურადღებას საკუთარი ფიზიკური უსაფრთხოების ზომების დაცვას.

გაუარესებული ფიზიკური და ფსიქოემოციური მდგომარეობის, ასევე თითქმის სრულად გამქრალი სოციალური ცხოვრების ფონზე, რაც განპირობებულია როგორც პოლიტიკური კრიზისით, ისე მიზანმიმართული დისკრედიტაციისა და დევნის შემთხვევებით, უფლებადამცველთა დიდი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე, ხშირად დროის უქონლობის გამო. ბუნდოვანია მათი ფინანსური მდგომარეობის სამომავლო პერსპექტივაც, ისევე როგორც ალტერნატიული ხედვის ან სამოქმედო გეგმის არსებობა. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ

რესპონდენტები, ოფიციალური თუ მოხალისეობრივი ფორმით, მაინც განაგრძობენ საქმიანობას მანამ, სანამ ამის შესაძლებლობა აქვთ.

კვლევის მონაწილე **აქტივისტები** აღიარებენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაღლილობას, თუმცა, უმეტესობა მაინც აგრძელებს საქმიანობას ხანგრძლივი სტრესის ფონზე მოხალისეობრივ რეჟიმში. მათი აქტივიზმი ღირებულებებით არის მოტივირებული. რესპონდენტები მოქმედებენ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, სამართლიანობის, თავისუფლებისა და ღირსების დაცვის მიზნით.

აქტივისტების მიმართ სოციალური ზეწოლის ფორმები მრავალფეროვანია: ონლაინ ბულინგი, ოჯახის და თემის მხრიდან ზეწოლა, პროფესიული და ფინანსური სირთულეები. მიუხედავად ამისა, ქალი რესპონდენტები ამტკიცებენ, რომ მათი მოტივაცია უცვლელი რჩება, ხოლო სოლიდარობა და ემოციური მხარდაჭერა მათ ძალას მატებს.

კვლევა ადასტურებს, რომ ქალების ჩართულობა სამოქალაქო პროცესებში მნიშვნელოვნად ზრდის დემოკრატიული აქტივობის მდგრადობას, თუმცა, საჭიროებს უსაფრთხოების გარანტიებს, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და სოლიდარობის გაძლიერებას. კვლევის შედეგები მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს, პოლიტოსებს, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რათა მათ გააძლიერონ ქალების უფლებების დაცვა, უზრუნველყონ უსაფრთხო გარემო და განავითარონ მხარდაჭერის მექანიზმები. მნიშვნელოვანია ქალთა აქტივიზმი გაგრძელდეს, მათი ხილვადობა და გავლენა გაიზარდოს საზოგადოებრივ დისკურსში.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა რეკომენდაციები შემდეგი აქტორებისთვის:

1. საერთაშორისო პარტნიორებისთვის და დონორი ორგანიზაციებისთვის

- სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობითა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე, უზრუნველყონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ალტერნატიული გზებით.
- შესთავაზონ უფლებადამცველებსა და აქტივისტებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოფიტვასთან გამკლავების ინდივიდუალური პროგრამები.
- დააფინანსონ ადგილობრივი უსაფრთხოების ჯგუფები, რომლებიც ცხელი ხაზის მეშვეობით უზრუნველყოფენ სწრაფ რეაგირებას მუქარის, შიშის ან ფიზიკური საფრთხის შემთხვევაში.

2. სამოქალაქო საზოგადოებისთვის

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უზრუნველყონ უფლებადამცველებისა და აქტივისტების ფიზიკურ და ფსიქო–ემოციურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის წახალისება.
- უზრუნველყონ უსაფრთხოების პროტოკოლების აქტიური დაცვა, რეგულარული განახლება და გავრცელება.
- არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციებმა/არაფორმალურმა გაერთიანებებმა საკუთარი გამოცდილებები გაუზიარონ პატარა და რეგიონულ ორგანიზაციებს დაფინანსების მიღების ალტერნატიულ გზებზე, უსაფრთხოებაზე, მსხარდაჭერის პროგრამებზე, ა.შ.
- შეისწავლონ ჟურნალისტების მდგომარეობა და საჭიროებები.
- განისაზღვროს კრიზისული რეაგირების ცხელი ხაზები და იურიდიული დახმარების პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს სწრაფ და კონფიდენციალურ მხარდაჭერას.
- ჩამოყალიბდეს თემატური ჯგუფები, რომლებიც გააერთიანებენ სხვადასხვა რეგიონში მოქმედ ქალ აქტივისტებს ცოდნის, რესურსებისა და ემოციური მხარდაჭერის გასაზიარებლად.
- წახალისდეს ქალი აქტივისტებსა და უფლებადამცველებს შორის ჰორიზონტალური თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი ინიციატივების შექმნა.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს პარლამენტი. 22 თებერვალი, 2023. კანონპროექტი *„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“.* №07-3/296/10. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZnBw7P

საქართველოს პარლამენტი. 1 აპრილი, 2025. *„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“.* №399-IIმს-XIმპ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4qulST8

საქართველოს პარლამენტი. 16 აპრილი, 2025. 'საქართველოს კანონი *„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე'.* №496-IIმს-XIმპ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oPKwO6

Human Rights Watch. 2025. World Report 2025 – Events of 2024. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47T8Mcg

უფლებადამცველების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, 19 მარტი, 2024. *გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ საქართველოში.* №A/HRC/55/50/Add.2. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47IuPRU

Amnesty International. 28 აპრილი, 2025. *მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ანგარიში: აპრილი 2025.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47hPhdg

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი. 24 იანვარი, 2025. საქართველო: დაიცავით შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, უზრუნველყავით ადამიანის უფლებების დარღვევებზე პასუხისმგებელ პირთა ანგარიშვალდებულება და დაასრულეთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ლგბტ პირების სტიგმატიზაცია. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4nwuW8Q

Front Line Defenders. 6 მაისი, 2025. *უფლებადამცველების სიტუაციის გლობალური ანალიზი 2024/25.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LEHE87

ევროპარლამენტი. 9 ივლისი, 2025. 2025 წლის 9 ივლისის რეზოლუცია საქართველოს შესახებ ევროკომისიის 2023 და 2024 ანგარიშებთან დაკავშირებით (2025/2024(INI)). №P10_TA(2025)0158. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oOG81M

'გაეროს ქალთა ორგანიზაცია'. 26 ნოემბერი, 2024. რა საფრთხეების წინაშე არიან ქალი უფლებადამცველები მსოფლიოში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LD4htC

The Kvinna till Kvinna Foundation. 2023. *უფლებადამცველი ქალების მდგომარეობა 2023.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Wxcimm

'საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია'. 2025. კანონები სიტყვის წინააღმდეგ: საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3WyOWgc

‘რადიო თავისუფლება’. 22 სექტემბერი, 2025. ანტიკორუფციული ბიურო უკვე 30 ორგანიზაციას სთხოვს ინფორმაციას – NGO–ები რეპრესიებად მიიჩნევენ ბიუროს მოთხოვნებს. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4ntTrDC

‘რადიო თავისუფლება’. 18 ივნისი, 2025. „რუსული კანონების აღსრულება დაიწყო“ – რა ინფორმაციას ითხოვს ანტიკორუფციული ბიურო სამოქალაქო ორგანიზაციებისგან. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47NU3zb

‘პუბლიკა’. 27 აგვისტო, 2025. პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ 7 NGO–ს საბანკო ანგარიშები დააყადაღა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4ny2vYi

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი. 20 მარტი, 2025. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის და წევრი ორგანიზაციების განცხადება“ქართული ოცნების” გენერალური პროკურატურის მიერ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ანგარიშების დაყადაღების და დაწყებული გამოძიების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oiKuhA

‘საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველო’. 18 სექტემბერი, 2025. *რა საკითხებით დაინტერესდა პროკურატურა ე.წ. პირბადეების პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49sw3Tu

‘საფარი’. 9 სექტემბერი, 2025. 9 სექტემბერს, 17:00 საათზე ბაია პატარაია ‘პირბადეების საქმეზე’ სასამართლოში გამოიკითხება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LgFVWv

‘რადიო თავისუფლება’. 4 სექტემბერი, 2025. „პირბადეების საქმეზე“ მნიშვნელოვანი უვიზო მიმოსვლის დაკარგვის საფრთხეა – მშვენიერაძე გამოკითხვაზე მივიდა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4nplkwt [

‘საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო’. 27 ოქტომბერი, 2025. ბოლო 10 დღეში მედიის 11 წარმომადგენელი დააკავეს ადმინისტრაციული წესით. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XcM20B

პოლიტპატიმრების სია: https://bit.ly/4oQXET7

‘რადიო თავისუფლება’. 6 აგვისტო, 2025. *მზია ამაღლობელს 2 წლით პატიმრობა მიესაჯა.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4o9PCoe

ევროპარლამენტი. 19 ივნისი, 2025. რეზოლუცია ‘საქართველოში მედია თავისუფლებასა და, განსაკუთრებით, მზია ამაღლობელთან დაკავშირებით.’ №P10_TA(2025)0132. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Lj8SB9

Human Rights Watch. 2025. *მსოფლიო ანგარიში 2025 — 2024 წლის მოვლენები.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47T8Mcg

უფლებადამცველების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, 19 მარტი, 2024. *გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ საქართველოში.* №A/HRC/55/50/Add.2. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47IuPRU

Amnesty International. 28 აპრილი, 2025. მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ანგარიში: აპრილი 2025. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47hPhdg

Front Line Defenders. 6 მაისი, 2025. *უფლებადამცველების სიტუაციის გლობალური ანალიზი 2024/25.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LEHE87

'გაეროს ქალთა ორგანიზაცია'. 26 ნოემბერი, 2024. რა საფრთხეების წინაშე არიან ქალი უფლებადამცველები მსოფლიოში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LD4htC

The Kvinna till Kvinna Foundation. 2023. უფლებადამცველი ქალების მდგომარეობა 2023. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Wxcimm

'საფარი'. 2021. *უფლებადამცველების საჭიროებების კვლევა საქართველოში.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4quTi5v

'სოციალური სამართლიანობის ცენტრი'. 11 თებერვალი, 2025. *პოლიციაში გაზრდილია მიზოგინიური და სექსისტური კულტურა და ენა.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4ny5jEO

'რადიო თავისუფლება'. 7 თებერვალი, 2025. "ტინდერის ასლარიანო ბოზებო", – პოლიციელების უხამსობა და ძალადობა ქალ დემონსტრანტებზე. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47hjrgF

'მედია აპრილი'. 24 მარტი 2025. გენდერული დეზინფორმაცია, როგორც იარაღი — როგორ ცდილობენ პოლიტიკიდან ქალების განდევნას. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LfJZGI

უფრო ვრცლად იხ.: 'მედიის განვითარების ფონდი'. 2025. გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oKq80E

'საფარი'. 2024. *გენდერული დეზინფორმაცია პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JvOMmA

'მედიის განვითარების ფონდი'. 2023. *სექსისტური ენა და გენდერული დეზინფორმაცია 2023.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JDKidI

თერთმეტი არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში. 14 მაისი, 2025. *ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47xpGMe

'საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია'. 30 ოქტომბერი, 2023. ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ – 7–9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47RmJaG

'წამების საერთაშორისო ორგანიზაციისა' და სხვა ხუთი ორგანიზაცია. მარტი, 2025. წამება და არასათანადო მოპყრობა საპროტესტო აქციების დროს და პოლიტიკური წინააღმდეგობის ჩახშობა საქართველოში 2024 წლის ნოემბერ–დეკემბერში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/48YIXsi

[1] საქართველოს პარლამენტი. 22 თებერვალი, 2023. კანონპროექტი *„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“.* №07-3/296/10. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZnBw7P [30.10.2025]

[2] Human Rights Watch. 2025. *World Report 2025 - Events of 2024*, p. 178-179. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47T8Mcg [30.10.2025]; უფლებადამცველების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, 19 მარტი, 2024. *გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ საქართველოში.* №A/HRC/55/50/Add.2. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47IuPRU [30.10.2025]; Amnesty International. 28 აპრილი, 2025. *მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ანგარიში: აპრილი 2025*, გვ. 176-178. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47hPhdg [30.10.2025]

[3] საქართველოს პარლამენტი. 22 თებერვალი, 2023. კანონპროექტი *„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“.* №07-3/296/10. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZnBw7P [30.10.2025]

[4] ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი. 24 იანვარი, 2025. საქართველო: დაიცავით შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, უზრუნველყავით ადამიანის უფლებების დარღვევებზე პასუხისმგებელ პირთა ანგარიშვალდებულება და დაასრულეთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ლგბტ პირების სტიგმატიზაცია. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4nwuW8Q [30.10.2025]; Front Line Defenders. 6 მაისი, 2025. უფლებადამცველების სიტუაციის გლობალური ანალიზი 2024/25, გვ. 94. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LEHE87 [30.10.2025]

[5] ევროპარლამენტი. 9 ივლისი, 2025. 2025 წლის 9 ივლისის რეზოლუცია საქართველოს შესახებ ევროკომისიის 2023 და 2024 ანგარიშებთან დაკავშირებით (2025/2024(INI)). №P10_TA(2025)0158. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oOG81M [30.10.2025]

[6] უფრო ვრცლად იხ.: იხ., მაგალითად: 'გაეროს ქალთა ორგანიზაცია'. 26 ნოემბერი, 2024. *რა საფრთხეების წინაშე არიან ქალი უფლებადამცველები მსოფლიოში.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LD4htC [30.10.2025]

The Kvinna till Kvinna Foundation. 2023. *უფლებადამცველი ქალების მდგომარეობა 2023.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Wxcimm [30.10.2025]

[7] საქართველოს პარლამენტი. 22 თებერვალი, 2023. კანონპროექტი *„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“.* №07-3/296/10. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZnBw7P [30.10.2025]

[8] საქართველოს პარლამენტი. 16 აპრილი, 2025. საქართველოს კანონი *„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.* №496-IIმს-XIმპ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oPKwO6 [30.10.2025]

[9] საქართველოს პარლამენტი. 1 აპრილი, 2025. *„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“.* №399-IIმს-XIმპ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4quIST8 [30.10.2025]

[10] უფრო ვრცლად იხ.: 'საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია'. 2025. კანონები სიტყვის წინააღმდეგ: საქართველოში გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3WyOWgc [30.10.2025]

[11] 'რადიო თავისუფლება'. 22 სექტემბერი, 2025. *ანტიკორუფციული ბიურო უკვე 30 ორგანიზაციას სთხოვს ინფორმაციას - NGO-ები რეპრესიებად მიიჩნევენ ბიუროს მოთხოვნებს.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4ntTrDC [30.10.2025]; 'რადიო თავისუფლება'. 18 ივნისი, 2025. *„რუსული კანონების აღსრულება დაიწყო“ - რა ინფორმაციას ითხოვს ანტიკორუფციული ბიურო სამოქალაქო ორგანიზაციებისგან.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47NU3zb [30.10.2025]

[12] 'პუბლიკა'. 27 აგვისტო, 2025. *პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ 7 NGO-ს საბანკო ანგარიშები დაადადო.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4ny2vYi [30.10.2025]; თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი. 20 მარტი, 2025. *თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის და წევრი ორგანიზაციების განცხადება "ქართული ოცნების" გენერალური პროკურატურის მიერ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ანგარიშების დაყადაღების და დაწყებული გამოძიების შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oiKuhA [30.10.2025]

[13] 'საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველო'. 18 სექტემბერი, 2025. *რა საკითხებით დაინტერესდა პროკურატურა ე.წ. პირბადეების პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49sw3Tu [30.10.2025]; 'საფარი'. 9 სექტემბერი, 2025. *9 სექტემბერს, 17:00 საათზე ბაია პატარაია 'პირბადეების საქმეზე' სასამართლოში გამოიკითხება.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LgFVWv [30.10.2025]; 'რადიო თავისუფლება'. 4 სექტემბერი, 2025. *„პირბადეების საქმეზე" მნიშვნელოვანი უვიზო მიმოსვლის დაკარგვის საფრთხეა – მწვენიერაძე გამოკითხვაზე მივიდა,* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4nplkwt [30.10.2025]

[14] 'საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო'. 27 ოქტომბერი, 2025. *ბოლო 10 დღეში მედიის 11 წარმომადგენელი დააკავეს ადმინისტრაციული წესით.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XcM20B [30.10.2025]

[15] სია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oQXET7 [30.10.2025]

[16] 'რადიო თავისუფლება'. 6 აგვისტო, 2025. *მზია ამაღლობელს 2 წლით პატიმრობა მიესაჯა.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4o9PCoe [30.10.2025]; იხ. ასევე, ევროპარლამენტის 2025 წლის 19 ივნისის რეზოლუცია №P10_TA(2025)0132 '*საქართველოში მედია თავისუფლებასა და, განსაკუთრებით, მზია ამაღლობელთან დაკავშირებით.*' ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Lj8SB9 [30.10.2025]

[17] Human Rights Watch. 2025. *მსოფლიო ანგარიში 2025 — 2024 წლის მოვლენები,* გვ. 178–179. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47T8Mcg [30.10.2025]; უფლებადამცველების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, 19 მარტი, 2024. *გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ საქართველოში.* №A/HRC/55/50/Add.2. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47IuPRU [30.10.2025]; Amnesty International. 28 აპრილი, 2025. *მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ანგარიში: აპრილი 2025,* გვ. 176–178. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47hPhdg [30.10.2025]; Front Line Defenders. 6 მაისი, 2025. *უფლებადამცველების სიტუაციის გლობალური ანალიზი 2024/25,* გვ. 94. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LEHE87 [30.10.2025]

[18] იხ., მაგალითად: გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 26 ნოემბერი, 2024. *რა საფრთხეების წინაშე არიან ქალი უფლებადამცველები მსოფლიოში.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LD4htC [30.10.2025] The Kvinna till Kvinna Foundation. 2023. *უფლებადამცველი ქალების მდგომარეობა 2023.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Wxcimm [30.10.2025]

[19] გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 26 ნოემბერი, 2024. რა საფრთხეების წინაშე არიან ქალი უფლებადამცველები მსოფლიოში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LD4htC [30.10.2025]

[20] 'საფარი'. 2021. *უფლებადამცველების საჭიროებების კვლევა საქართველოში,* გვ. 14. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4quTi5v [30.10.2025]

[21] 'სოციალური სამართლიანობის ცენტრი'. 11 თებერვალი, 2025. *პოლიციაში გაზრდილია მიზოგინიური და სექსისტური კულტურა და ენა.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4ny5jEO [30.10.2025]; 'რადიო თავისუფლება'. 7 თებერვალი, 2025. "ტინდერის ასლარიანო ბოზებო", – *პოლიციელების უხამსობა და ძალადობა ქალ დემონსტრანტებზე.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47hjrgF [30.10.2025]

[22] უფრო ვრცლად იხ.: 'მედიის განვითარების ფონდი'. 2025. *გენდერული და იდენტობაზე დაფუძნებული დეზინფორმაცია.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4oKq80E [30.10.2025]; 'საფარი'. 2024. *გენდერული დეზინფორმაცია პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JvOMmA [30.10.2025]; 'მედიის განვითარების ფონდი'. 2023. *სექსისტური ენა და გენდერული დეზინფორმაცია 2023.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JDKidl [30.10.2025]

[23] იხ. მაგ. თერთმეტი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ 2025 წლის 14 მაისს გამოქვეყნებული ანგარიში *'ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ'.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47xpGMe [30.10.2025]; 'საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია'. 30 ოქტომბერი, 2023. *ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ – 7–9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება.* ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47RmJaG [30.10.2025]

[24] 'წამების საერთაშორისო ორგანიზაციისა' და ხუთი ორგანიზაციის 2025 წლის მარტის ანგარიში 'წამება და არასათანადო მოპყრობა საპროტესტო აქციების დროს და პოლიტიკური წინააღმდეგობის ჩახშობა საქართველოში 2024 წლის ნოემბერ–დეკემბერში'. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/48YIXsi [30.10.2025]

[25] საქართველოს პარლამენტი. 22 თებერვალი, 2023. კანონპროექტი *„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ".* №07-3/296/10. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZnBw7P [30.10.2025]

[26] საქართველოს პარლამენტი. 1 აპრილი, 2025. *„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი".* №399–IIმს–XIმპ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4quIST8 [30.10.2025]